ხელშეკრულება №25
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი **3.12.2010წ.**

ერთის მხრივ, შპს „ბენე"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, ალექსანდრე კობახიძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-ს (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი ხელმძღვანელის, ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშკრულების ობიექტი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის ურთიერთობებს, რაც წარმოიშობა მიმწოდებლის მიერ, სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-სთვის ფერადი ნომრიანი ბლანკების დამზადებისა და მიწოდებისას.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 82.50 (ოთხმოცდაორი ლარი ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

3. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდება ა.წ. 25 დეკემბერამდე;
3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, ათონელის ქ. №25.

4. საქონლის მიღება ჩაბარების წესი

4.1. საქონლის საბოლოო შემოწმების ადგილია: ქ.თბილისი, ათონელის ქ. №25.
4.2. საქონლის საბოლოო შემოწმების დროს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა ვადები და ადგილი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ;
5.2. უნაღდო ანგარიშსწორება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. დამკვეთი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება, ხელშეკრულებასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
7.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს დამკვეთის წარმომადგენელი.

8. ხელშეკრულების დადების საფუძველი

8.1. №882 2010 წლის 14 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის" საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ".

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
9.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;
11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად, დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ´ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მიმწოდებელს არ აქვს ფასების გადასინჯვის უფლება, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ისეთ შემთხვევებში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
13.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსრულებლს, მეორე კი დამკვეთს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი	**დამკვეთი**
შპს „ბენე"-ს დირექტორი: ალექსანდრე კობახიძე	სსიპ„კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-ს ხელმძღვანელი
----------ა.კობახიძე	----------ა.დეტუტრაშვილი
„ბაზის ბანკი" ბ/კ 220101956 ს/ა 31536628 ს/კ 203850877 ქ.თბილისი, პეკინის ქუჩა №3	სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი 0516 საინდ/კოდი 204578242 ქ.თბილისი ათონელისქ. №25